# ქალაქ თბილისის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახური

№ 12/39048-7

„10" 06 2011 წ.

*მოქ: ლეილა ცხოიძე*
*მის: თეთრიწყაროს ქ. №14*

ქ. თბილისის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახური გაცნობებთ, რომ თქვენი 2011 წლის 11 აპრილის №12/39048-7 განცხადება მიწის ნაკვეთის დაკანონების შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულების „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ" მე-13 მუხლის შესაბამისად, 2011 წლის 5 მაისს კომისიამ განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება (ოქმი №253), მიწის ნაკვეთზე უარის თქმის შესახებ, ვინაიდან არ დასტურდება მიწის ნაკვეთის თვითნებურად დაკავების და ფლობის ფაქტი "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებამდე. მითითებული მიწის ნაკვეთი დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის მიხედვით მოქცეულია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონაში (ლსზ).

აღნიშნულიდან გამომდინარე, უკან გიბრუნებთ თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), კანონით დადგენილი წესით ერთი თვის ვადაში.

დანართი: 7 ფურცელი და 1 დისკი

*პატივისცემით,*

*სამსახურის უფროსი* ი. [signature] *ირაკლი აბესაძე*

სამსახურის უფროსი

საქართველო

## ქ. თბილისის მერია

### სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური

ქალაქი თბილისი, მელიას 8 არასასოფლოსამეურნეო

დანიშნულების ს/კ №011933015128 -ის მიმდებარედ მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული

## გეგმა




### პირობითი აღნიშვნები

WGS 1984 -ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

| | | | |
|---|---|---|---|
| საცხ. შენობა | ბორდიური | | ჭიშკარი |
| არასაცხ. შენობა | სის ღობე | | ბეტონი |
| ფარდული | ღობე | წ | წყალგაყვანილობა |
| შენებარე შენობა | ქვის კედელი | გ | გაზი |
| სატრანსფორ. ჯიხური | კედელი | კ | კანალიზაცია |
| ხეები | ფლატე | სან | სანიაღვრე |
| გარე განათება | რკინიგზა | კშ | კავშირგაბმულობა |
| | საჭიდვალჭურეთ ჭები | | ელ. ქსელები |
| | ელ. გადამცემი ხაზი | თგ | გათბობა |

შენიშვნა: 1)

შპს „ბიემჯი გრუპ"
საქართველო, თბილისი, შარტავას ქუჩა 14
მობ: 598 667070; 577 158039

LTD `BMG GROUP~
14 Sartava St. Tbilisi, Georgia

| | | |
|---|---|---|
| ტექნიკური დირექტორი: | | ზ. ბასილაძე |
| აზომა: | | რ. ჯიქია |
| დახაზა: | | რ. ჯიქია |
| დამკვეთი: | | ლია ბიჭიაშვილი |